თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-77-192824-26
27 / 07 / 2026

შპს“ნიუ ჰოსპიტალს“-ის წარმომადგენელს
დავით ბახტაძეს

ბატონო დავით,

თქვენი მიმდინარე წლის 21 ივლისის №02-77-192824-26 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა №12/გორგასლის ქ. №71-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.18.06.019.096 დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციას და გენგეგმის დამოწმებას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულს კვეთს საშუალო წნევის **D=150 მმ-იანი, D=100 მმ-იანი, D=80 მმ-იანი,** მკვებავი **D=50 მმ-იანი** და დაბალი წნევის **D=50 მმ-იანი** მიწისზედა გაზსადენები. აგრეთვე კომპანიაში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით ნაკვეთს კვეთს საშუალო წნევის **D=160 მმ-იანი, D=150 მმ-იანი, D=75 მმ-იანი** მიწისქვეშა გაზსადენები.

კომპანია არ არის წინააღმდეგი მოიპოვოთ სამშენებლო სამუშაოების წარმოების ნებართვა შემდეგი მოთხოვნის გათვალისწინებით:

- აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს თქვენს მიერ წარმოდგენილი და შპს „თბილისი ენერჯი“-ს მიერ შეთანხმებული გენგეგმის შესაბამისად (შეზღუდვა მიწისქვეშა **D=160 მმ-იანი, D=150 მმ-იანი, D=75 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენის ღერძიდან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე **4 (ოთხი)** მეტრი);
- მიწის ნაკვეთზე არსებული მიწისზედა და მიწისქვეშა გაზსადენებთან მიმართებაში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ნორმები, არ უნდა შეიზღუდოს გაზსადენის ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი მომსახურების შესაძლებლობა.

მოთხოვნის თანახმად გიგზავნით შპს „თბილისი ენერჯი“-ს ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას.

დანართი: დამოწმებული გენგემა -1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი გოგინაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში



პირობითი აღნიშვნები

მიწისზედა გაზსადენი

მიწისქვეშა გაზსადენი

შეთანხმებულია

შპს თბილისი ენერგი
TBILISI ENERGY LTD

ტექნიკური დოკუმენტაცია

რეგისტრაციო № 02-77-192824-26

24 / 07 2026წ.

მიწის ნაკვეთი

4 მეტრიანი შეზღუდვის ზონა

მისამართი	ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა №12 / გორგასლის ქუჩა №71						
საკადასტრო	01.18.06.019.096	დირექტორი	ვ.ფანჩულიძე	არქიტექტორი	დ.ბახტაძე	შეამოწმა	
პროექტის სახელწოდება	საოფისე შენობა	თარიღი	ივლისი 2026				A 3
ნახაზის დასახელება	გენ.გეგმა	მასშტაბი	1:100				